ა ნ გ ა რ ი შ ი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2013 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2013 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში შეადგენდა 4089,7 ათას ლარს, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად , შემოსულობები გაიზარდა 5115,8 ათასი ლარით და განისაზღვრა 9205,5 ათასი ლარი. შემოსულობების გეგმების ზრდა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 4099,9 ათასი ლარის სპეციალური ტრანსფერის გამოყოფით და საკუთარი შემოსავლების გეგმების 1015,9 ათასი ლარის ზრდით. ფაქტიურად 2013 წელში მიღებული გვაქვს 8842,7 ათასი ლარის შემოსულობები, ანუ დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 362,8 ათასი ლარით ნაკლები, შემოსულობების გეგმის შეუსრულებლობა მთლიანად განაპირობა სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილმა ტრანსფერებმა, აღსანიშნავია რომ 2013 წელს 2012 წელთან შედარებით მიღებულია 2368,8 ათასი ლარით მეტი მეტი შემოსულობები, 2012 წელს ფაქტიურად მიღებულია 6473,9 ათასი ლარი.

გადასახადები– მ.შ. ქონების გადასახადი დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 110,0 ათას ლარს, აქედან საწარმოთა ქონების გადასახადი 85,0 ათას ლარს და გადასახადი არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 25,0 ათას ლარს, იმის გამო რომ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის წინა წლების დავალიანებები შემოვიდა 2013 წელს, ახალი ვალდებულებების ასაღებად შესაძლებელი გახდა აღნიშნულ სახეში გეგმის გაზრდა 175,0 ათასი ლარით და გადასახადი არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე განისაზღვრა 200,0 ათასი ლარით. ფაქტიურად კი მივიღეთ 281,7 ათასი ლარი – 81,7 ათასი ლარით მეტი, ხოლო საწარმოთა ქონების გადასახადში გეგმის შერულებას დააკლდა 41,3 ათასი ლარი და დაგეგმილი 85,0 ათასი ლარიდან მივიღეთ მხოლოდ 43,7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 3689,7 ათას ლარს, საბიუჯეტო წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4099,9 ათასი ლარი და დაზუსტებული ბიუჯეტით განისაზღვრა 7789,6 ათასი ლარი, ფაქტიურად 2013 წელს

მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 7151,5 ათასი ლარი. აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია სრულად და შეადგენს 3559,7 ათას ლარს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ასევე მიღებულია სრულად 130,0 ათასი ლარი. ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 4099,9 ლარიდან მიღებულია 3461,8 ათასი ლარი, აქედან საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 3326,7 ათასი ლარიდან მიღებულია 2688,6 ათასი ლარი, ხოლო სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 773,2 ათასი ლარი მიღებულია სრულად. აღსანიშნავია, 2013 წელს 2012 წელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების ოდენობა გაზრდილია 1218,0 ათასი ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ზრდით.

სხვა შემოსავლები დამტკიცებული ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 290,0 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შემდეგ სხვა შემოსავლების გეგმა გაიზარდა 840,9 ათასი ლარით და განისაზღვრა 1130,9 ათასი ლარით, ფაქტიურად კი 2013 წელში მიღებულია 1396,7 ათასი ლარის სხვა შემოსავლები. გეგმები დაზუსტდა პროცენტებში 22,0 ათასი ლარით და ფაქტიურად მიღებულია 37,3 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან მიღებულ შემოსავალში 15,7 ათასი ლარით და ფაქტიურად მიღებულია 29,6 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები დამტკიცებული ბიუჯეტით შედაგენდა 233,5 ათას ლარს, წლის განმავლობაში რამდენჯერმე დაზუსტების შემდეგ ჯარიმების გეგმა გაიზარდა 803,2 ათასი ლარით და განისაზღვრა 1036,7 ათასი ლარით, ფაქტიურად კი 2013 წელს სულ მუნიციპალიეტეის ბიუჯეტში ჯარიმებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1167,6 ათასი ლარი, დაგეგმილზე მეტი თანხებია მობილიზებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელში და დაგეგმილი 50,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 135,9 ათასი ლარი, ასევე 2013 წელს მიღებულია გვაქვს გაუთვალისწინებელი, შერეული და არაკლასიფიცირებული შემოსავალი 19,8 ათასი ლარის ოდენობით. სრულად შემოვიდა 2013 წელს დაგეგმილი ადმინისტრაციული მოსაკრებლებლები და შეადგინა 6,5 ათასი ლარი. (დან#2)

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2013 წელს შემოვიდა 19,8 ათასი ლარი, ამ სახეში შემოსავლის მიღება დაგეგმილი არ ყოფილა.

გარდა შემოსულობებისა, ხარჯების დაფინანსების წყაროდ გამოყენებულია აგრეთვე 2013 წლის პირველი იანვრისათვის არსებული თავისუფალი ნაშთი 481,0 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთი შეადგენდა 222,2 ათას ლარს და საკუთარი შემოსულობების ნაშთი 258,8 ათას ლარს. (დან. # 1)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2013 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში განისაზღვრებოდა 4089,7 ათასი ლარი, წლის განმავლობაში სხვადასხვა ახალი საბიუჯეტო ვალდებულებების აღების შედეგად ბიუჯეტმა გადასახდელების ნაწილში შეადგინა 9686,5 ათასი ლარი, (დან. #3) ფაქტიურად კი გაწეულია 7275,4 ათასი ლარი, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის გაწეულ ხარჯებს 857,3 ათასი ლარით აღემატება, 2012 წელში მუნიციპალიტეტს გაწეული აქვს 6418,1 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო ფაქტიურად 2013 წელს დაგეგმილზე 2411,1 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი იქნა გაწეული, აღნიშნული გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან , კერძოდ კი საქართველოს მთავრობის 2013 წელის # 311 განკარგულებით გამოყოფილი სახსრების სრულად აუთვისებლობის გამო, ამასთან 2013 წელს ობიქტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა წლის ბოლოს სხვადასხვა პროექტებზე გაფორმებული ხელშეკრულებებით მუნიციპალტეტისათვის კუთვნილი 413,1 ათასი ლარის მიღება.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებას, 2013 წლის წლიური ბიუჯეტით სახელმწიფო ფონდებიდან შესასრულებელი იყო სულ 4322,1 ათასი ლარის სამუშაოები აქედან 2011-12 წლების ფონდებიდან დარჩენილი 222,2 ათასი ლარი და მიმდინარე წელს გამოყოფილი 4099,9 ათასი ლარი. ფაქტიურად 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებით ათვისებული იქნა 2193,6 ათასი ლარის სამუშაო, მ. შ. **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1379,5 ათასი ლარი,** (საქ. მთ. 04.04. # 311 განკარგულებით 1234,9 ათასი ლარი, საქ. მთ. 21.08. # 1099 განკარგ. 11,4 ათასი ლარი, 2012 წლის საქ. მთ. 24.05 # 972 განკარგულებით 105,3 ათასი ლარი, საქ. მთ. 18.01 #55 განკარგულებით 24,8 ათასი ლარი, 2011 წლის საქ.მთ. 05.07. # 1402 განკარგულებით 2,8 ათასი ლარი, საქ.მთ. 2011 წლის 01.04. # 735 განკარგულებით 0,3 ათასი ლარი. **სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 769,1 ათასი ლარი,** აქედან 2012 წ. 31,01. # 162 განკარგულებით 22,2 ათასი ლარი, საქ.მთ. 2011 წ 31.01 # 201 განკარგულებით 3,5 ათასი ლარი და 2013 წლის 17,05. 2013 # 466 განკარგულებით 743,4 ათასი ლარი. **საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 37,7 ათასი ლარი, მ. შ.** საქ.პრეზიდენტის 2012 წლის 13/07/03 განკარგულებით 7,9 ათასი ლარი, ლარი და საქ.

პრეზიდენტის 2012 წლის 26/07/08 განკარგულებით 29,8 ათასი ლარი, **საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქ. მთ. 13.07 #1380 განკარგულებით 7,3 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების** ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 1893,6 ათასი ლარიდან გაწეულია 1756,4 ათასი ლარი, ანუ 137,2 ათასი ლარით ნაკლები, ამასთან აღნიშნული ხარჯები 2012 წლის ხარჯებთან შედარებით შემცირებულია 162,8 ათასი ლარით, 2012 წელს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე გაწეულია 1919,2 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2013 წელს განსაზღვრული 475,4 ათასი ლარიდან გაიხარჯა 434,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 91,4 პროცენტით.

მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 1408,8 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1321,8 ათასი ლარი, ე.ი. 87,0 ათასი ლარით ნაკლები, დაფინანსებულია 93,8 პროცენტით.

2013 წელში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი განისაზღვრებოდა 62,4 ათასი ლარი, წლის განმავლობაში სარეზერვო ფონდიდან გამოყენებული იქნა 56,0 ათასი ლარი, საიდანაც 10,6 ათასი ლარი მიმართულია სტიქიით დაზიანებული ხიდებისა და ხიდბოგირების აღსადგენ ხარჯებში , კერძოდ სოფელ ლაშის იგორეთში მდ. გორულაზე ხიდ–ბოგირის მოსაწყობად და 45,4 ათასი ლარი სოციალური დაცვის ხარჯებში, აქედან 10,4 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 285 ოჯახისათვის სააღდგომოდ სურსათით დახმარებისა და სატრანსპორტო ხარჯების გასაწევად, 24,7 ათასი ლარი მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკონომიურად გაჭირვებული მოსახლეობის მედიკამენტებით, სხვა სამედიცინო მომსახურებისა და ერთჯერადი დახმარებების გასაცემად და 10,3 ათასი ლარი მუნიციპალიტეტში მცხოვრები ღირსების ორდერის მფლობელი 28 პედაგოგისათვის შობა–ახალი წლის აღსანიშნავად 200 ლარით დასაჯილდოებლად, მუნიციპალიტეტის 20 ტ/ერთეულში მცხოვრები უხუცესებისათვის 100 ლარით დასაჯილდოებლად, სპორტის დამსახურებული მუშაკის ა. მაღრაძის 500 ლარით დაჯილდოებლად და სხვა დამატებითი სოციალური ვალდებულებების ასაღებად.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯების დასაფინასებლად დაგეგმილი 383,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 369,9 ათასი ლარი, მ.შ.

სახანძრო–სამაშველო სამსახურის ხარჯები დაგეგმილი 292,1 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 287,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 98,3 პროცენტით.

თავდაცვის ხარჯები 91,1 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 82,8 ათასი ლარით, ანუ 90,9 პროცენტით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2013 წლის წლიური შედეგების მიხედვით დაგეგმილი 3424,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 2214,2 ათასი ლარით, ე.ი. მხოლოდ 64,7 პროცენტი.

აქედან:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 2130,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 991,2 ათასი ლარი, ე. ი. 46,5 პროცენტი, მათ შორის გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა–შენახვის ხარჯები დაგეგმილი 1944,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 877,2 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4.04.#311 დადგენილებით, გასული 2012 წლის 26.07.08 საქ. მთავრობის განკარგულებით და საკუთარი სახსრებით. # 311 განკარგულებით შესასრულებელ სამუშაოებიდან , ქუჩების მოასფალტებაზე და ნაპირსამაგრების მოწყობაზე დახარჯულია 677,2 ათასი ლარი, გასული წლის #26.07.08 განკარგულებით შესრულებულია 29,3 ათასი ლარის სამუშაოები ბორითის ტ/ერთეულის სოფ. უბისაში გაბიონების მოსაწყობად. საქ. მთ. 2012 წლის 25.05 . # 972 განკარგულებით 11,4 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებით შესრულებულია 127,0 ათასი ლარის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ტ/ერთეულებში გზების რეაბილიტაციაზე და 32,3 ათასი ლარი დახარჯულია შიდა სასოფლო გზების გასათოვლად და დამეწყრილი გზების გასაწმენდად საჭირო საწვავის შესაძენად.

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე 2013 წელში უნდა გაწეულიყო 185,9 ათასი ლარი, ფაქტიურად გაწეულია 114,0 ათასი ლარი, მ. შ. 2013 წლის 4.04.#311 განკარგულებით 63,2 ათასი ლარი, 2012 წლის # 972 განკარგულებით 11,4 ათასი ლარი 2 012 წლის 13/07/06 განკარგულებით 5,4 ათასი ლარი. 2012 წლის # 55 განკარგულებით 2,5 ათასი ლარი, 2011 წლის # 1402 განკარგულებით 2,8 ათასი ლარი, საქ. მთ. 2011 წლის # 735 განკარგულებით 0,3 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებით 28,4 ათასი ლარი.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე წლიური გათვალისწინებული 372,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 354,3 ათასი ლარი, 95,0 პროცენტი, აქედან დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე და მაწანწალა ძაღლების იზოლაციაზე დაგეგმილი 173,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 170,7 ათასი ლარი, მრავალბინიანი სახლების რებილიტაციაზე 2012 წლის 26/07/08 განკარგულებით 0,5 ათასი

ლარი და 2013 წლის # 311 განკარგულებით 66,4 ათასი ლარი, გარე განათების სუბსიდირებაზე გეგმით და ფაქტიურად გაწეულია 116,7 ათასი ლარი. სანიაღვრე არხის მოწყობაზე (გაწმენდა) მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით გამოყოფილი 10,0 ათასი ლარიდან 2013 წელში ფაქტიური ხარჯი არ გაწეულა.

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად 2013 წელში გამოყოფილი 107,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 93,5 ათასი ლარი, 86,8 პროცენტი, აქედან პარკებისა და სკვერების სუბსიდირებაზე გამოყოფილი 84,2 ათასი ლარი დახარჯულია სრულად. სპორტული კომპლექსის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაობის დასასრულებლად წლიური ბიუჯეტით გამოყოფილი 15,0 ათასი ლარიდან მხოლოდ 0,9 ათასი ლარია ათვისებული.

4) **სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები** 2013 წლის წლიური ბიუჯეტით განისაზღვრა 813,2 ათასი ლარით, აქედან საქ. მთავრობის 2013 წლის 17 მაისის # 466 განარგულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 773,2 ათას ლარს და 27,7 ათასი ლარი გასული წლების დაუსრულებელი პროექტების ოდენობაა, რომელიც 2013 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთიდან იქნა გადმოტანილი, ამასთან საკუთარი სახსრებით სოფლის მხარდამჭერი პროგრამის განსახორციელებლად დამატებით გამოიყო 12,3 ათასი ლარი, ფაქტიურად 2013 წელში დახარჯულია 775,2 ათასი ლარი, მ.შ. 5,9 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით იქნა გაწეული.

სოფლის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაციაზე 2013 წელში დახარჯულია 293.3 ათასი ლარი;

სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 119,5 ათასი ლარი; ხიდ–ბოგირების შეკეთებაზე 22,5 ათასი ლარი; სარიტუალო შენობების შეკეთებაზე, ჭურჭლისა და სეფების შეძენაზე 208,0 ათასი ლარი; გარე განათებების მოწყობაზე 7,0 ათასი ლარი; სოფლის სასაფლაოების შემოღობვებზე 19,5 ათასი ლარი; წისქვილების შეკეთებაზე 15,2 ათასი ლარი; ბიბლიოთეკების, კლუბების, ადმინისტარციული შენობების და ამბულატორიის შეკეთებაზე 27.0 ათასი ლარი; სპორტული მოედნების მოწყობაზე 2,9 ათასი ლარი; სანიაღვრე არხების შეკეთებაზე და კანალიზაციის მოწესრიგებაზე 28,1 ათასი ლარი; მრავალბინიანი სახლების ეზოებისა და სათიბების შემოღობვაზე 3,5 ათასი ლარი; სასაფლაოსათვის მიწის შესაძენად 10,0 ათასი ლარი; ავტობუსის შესაძენად 7,8 ათასი ლარი; სკვერების მოსაწყობად 5,0 ათასი ლარი; სოფლის მხარდამჭერი პროგრამით შესრულებული სამუშაოები დაფინასებულია 91.6 პროცენტით.

განათლებაზე 2013 წელში გათვალისწინებული 1310,5 ათასი ლარიდან დახარჯულია მხოლოდ 871,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 66,5 პროცენტით, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სრულად 100 პროცენტით მოხდა საგანმანათლებლო დაწესებულებების სუბსიდირება, მ.შ. სკოლამდელი განათლების სუბსიდირებაზე დახარჯულია 463,0 ათასი ლარი, სკოლა–ინტერნატის სუბსიდირებაზე – 73,7 ათასი ლარი, მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 76,1 ათასი ლარი; რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 2013 წლის 4,04 # 311 განკარგულებით გამოყოფილი სახსრების ათვისებას, დაგეგმილი 697,0 ათასი ლარიდან მხოლოდ 258,8 ათასი ლარი იქნა ათვისებული, მ.შ. ბაღების მშენებლობაზე გამოყოფილი 578,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 235,6 ათასი ლარი და ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი 118,8 ათასი ლარიდან მხოლოდ 23,2 ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები

დაგეგმილი 2030,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 1424,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 70,1 პროცენტი, აქედან სპორტის განვითარებაზე დახარჯულია 414,7 ათასი ლარი, საიდანაც სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 6,7 ათასი ლარი, სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე დაგეგმილი 140,0 ათასი ლარიდან 130,6 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მოწყობაზე საკუთარი სახსრებით 53,1 ათასი ლარი, ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე გეგმით და ფაქტიურად 58,1 ათასი ლარი და სპორტული კომპლექსის მშენებლობის დასასრულებლად 46,2 ათასი ლარი, მათ შორის 2012 წლის 18,01 # 55 განკარგულებით 22,3 ათასი ლარი, საკუთარი სახსრებით 23,9 ათასი ლარი და 10,0 ათასი ლარი დახრჯულია საქ. მთ. 2013 წლის 4.04 #311 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით.

კულტურის განვითარებაზე წლიური დაგეგმილი 1293,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 811,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია მხოლოდ 62,7 პროცენტით, ვინაიდან არ დასრულებულებულა კინოთეატრის რეაბილიტაცია და რეაბილიტაციის სამუშაოები გაგრძელდა 2014 წელს.

სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 111,6 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 48,0 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 184,5 ათასი ლარი, კინოთეატრის რეაბილიტაციაზე 2012 წლის საქართველოს პრეზიდენტის 13/07/06 განკარგულებით 2,5 ათასი ლარი, საქ. მთავრობის 2012 წლის 24,05 # 972 განკარგულებით 82,4 ათასი ლარი და საქ. მთ. 2013 წლის 4.04 #311 განკარგულებით 170,5 ათ. ლარი. ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 137,7

ათასი ლარი, ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 73,9 ათასი ლარი, გაზეთ ,,ახალი ხარაგაულის“ სუბსიდირებაზე 27,4 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 168,0 ათასი ლარი.

რელიგიის დაფინანსებაზე მიიმართა 168,0 ათასი ლარი, აქედან დაბის საკათედრო ტაძრის მშენებლობის სუბსიდირებაზე 100,0 ათასი ლარი და 68,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ეკლესიებისა და ტაძრების სუბსიდირებაზე;

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე 2013 წელს დაგეგმილი 643,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 639,3 ათასი ლარი, აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე გეგმით და ფაქტიურად დახარჯულია 84,6 ათასი ლარი და სოციალურ პრგრამებზე დაგეგმილი 559,3 ათასი ლარიდან 554,7 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დაგეგმილი 77,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 74,9 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 343,2 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 4,6 ათასი ლარი, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად 2,0 ათასი ლარი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად 130,0 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელში გაწეული 7275,4 ათასი ლარიდან შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 1379,1 ათასი ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 294,2 ათასი ლარი, მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 19,9 ათასი ლარი, საოფისე ხარჯების გაწევაზე 133,2 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 16,1 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის შესაძენად 4,8 ათასი ლარი, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 151,9 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 785,0 ათასი ლარი, სუბსიდირებაზე 1968,0 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე 632,4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე 1807,9 ათასი ლარი და სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების ანაზღაურებაზე 66,9 ათასი ლარი.

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის

უფროსი: ვლ. გელაშვილი